ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7728836

ნომერი: AR11119224

თარიღი : 27.11.2025

გაცემის თარიღი : 04.12.2025

გაცნობის თარიღი : 04.12.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 234ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ჯობავა პ/ნ 62006030542
- გალი სოფ. 1-გალი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 7 მაისის №7472168 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 27 ნოემბერს №AR11119224 განცხადებით მომართა ალექსანდრე ჯობავამ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 7 მაისის

№7472168 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 7 მაისის №7472168 ბრძანებით შეთანხმდა №01.72.14.202.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2025 წლის 16 მაისის №7481684 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2025 წლის 12 ნოემბრის №7700374 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2025 წლის 7 მაისის №7472168 ბრძანებაში და შეთანხმებული -1, 1, 3, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 სართულების არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდა 2025 წლის 2 ნოემბრის №AR11115581 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე სართულების გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2025 წლის 7 მაისის №7472168 ბრძანებით შეთანხმებულ +22.80 - +45.90 ნიშნულების არქიტექტურულ გეგმებზე დაშვებულია ტექნიკური შეცდომა ფართობების მითითების ნაწილში. შესაბამისად, მოთხოვნილია ტექნიკური შეცდომის გასწორება და აღნიშნული ნიშნულების შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლება წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილით.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ წარმოდგენილი +22.80 - +45.90 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები არ იცვლება, აღნიშნული ნიშნულების გეგმებზე ხდება მხოლოდ ფართობების დაზუსტება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 7 მაისის №7472168 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 7 მაისის №7472168 ბრძანებაში და შეთანხმებული +22.80 - +45.90 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 7 მაისის №7472168 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 7 მაისის №7472168 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.